

კვლევა „ქალთა კარიერულ წინსვლაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში“

კვლევის მონაწილეთა შერჩევა

კვლევის სამიზნე პოპულაცია იყო 18 წლის და მეტი ასაკის მქონე ქალები საქართველოში.

კვლევაში მონაწილეთა ჩართვა განხორციელდა მრავალსაფეხურიანი რანდომული შერჩევის მეთოდით.

პირველადი შერჩევის ერთეული იყო კლასტერები, კერძოდ ქალაქი თბილისი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მთავარი ქალაქები. თბილისი/რეგიონის პროპორციული განაწილება იყო 31%/69%.

ამორჩეულ კლასტერებში (ქალაქებში) ის ქუჩები, სადაც ინტერვიუერები აგროვებდნენ საკვლევ მასალას, შეირჩა რანდომულად შესაბამისი ქალაქის ქუჩების სრული ჩამონათვლიდან, ხოლო შერჩეული ქუჩებიდან კარდაკარ ჩამოვლის გზით შესარჩევი ოჯახები განისაზღვრა სისტემური რანდომიზებული შერჩევის მეთოდით. კერძოდ, პირველი ოჯახი შეირჩა რანდომულად, განისაზღვრა ათვლის წერტილად და ყოველი მომდევნო მეხუთე ოჯახიდან ხდებოდა საკვლევ პირის შერჩევა კიშის მეთოდის გამოყენებით. სისტემური რანდომიზაციის მეთოდი იქნა გამოყენებული რეგიონებშიც სადაც, როგორც თბილისში, რანდომულად შერჩეული ათვლის წერტილიდან ხდებოდა ყოველი მეხუთე ოჯახის შერჩევა გამოსაკითხად.

იმ შემთხვევაში, თუ კიშის მეთოდოლოგიით შერჩეული საკვლევ პირი არ იმყოფებოდა სახლში, მინიმუმ სამი მცდელობა ხორციელდებოდა, რომ მომხდარიყო წვდომა შერჩეულ პირზე. საკვლევ პირთა შენაცვლებას ადგილი არ ჰქონია.

კვლევაში ჩართვამდე თითოეული მონაწილე გაეცნო და ხელი მოაწერა ინფორმირებული თანხმობის ფორმას. პირები, რომლებმაც უარი თქვეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ იქნენ ჩართული კვლევაში.


კვლევაში ჩასართავად შეირჩა 1600 ქალი, რომელთაგან კვლევაში ჩართვაზე უარი განაცხადა 15.6%-მა (250), ხოლო 84.4% (1350) დათანხმდა ინტერვიუზე.

კვლევის შედეგების შეჯამება:

საკვლევი ჯგუფის დემოგრაფიული დახასიათება:

- საკვლევი ჯგუფის საშუალო ასაკი იყო 40.7 წელი, მინიმალური ასაკი 18 წელი, მაქსიმალური 71.
- საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ასაკი აღემატება კერძო სექტორში დასაქმებულებისას. საჯარო სექტორის წარმომადგენელთა 71%-ის (411), ხოლო კერძო სექტორის წარმომადგენელთა 48%-ის (221) ასაკი აღემატება 35 წელს ($P<0.0001$).
- თბილისში ცხოვრობს საკვლევი პირთა 31% (419), რეგიონებში - 69% (931).
- საკვლევი პირთა 35.9%-ს (485) აქვს საშუალო ან ტექნიკური, ხოლო 64.1%-ს (865) – უმაღლესი განათლება.
- საკვლევი ჯგუფის 18.9% (255) არასდროს ყოფილა ქორწინებაში, 67.5% (912) დაქორწინებულია, 6.1% (82) განქორწინებულია ხოლო 7.5% (101) - ქვრივი;
- ქორწინებაში მყოფ ქალთა 93% (1018) ერთხელ იყო დაქორწინებული, 7% (77) - კი ერთზე მეტჯერ.
- საკვლევი პირების 18.9% (255) არ ყავს შვილი, 1 შვილი ყავს 25.3% (341), 2 შვილი - 44.5% (601) და 3 და მეტი - 11.3% (153) (გრაფიკი 1);

გრაფიკი 1. საკვლევი ჯგუფის დემოგრაფიული მაჩვენებლები - შვილების რაოდენობა




- 43%-ში (471) პირველი ქორწინების ასაკი არის 21 წელზე ნაკლები, ხოლო ქორწინების საშუალო ასაკი შეადგენს 22.9 წელს.

უცხო ენის ცოდნა

- 86% (1161) ამბობს, რომ იცის რომელიმე უცხო ენა.
რუსული კარგად იცის ქალების 35% (473), საშუალოდ - 44% (594), ხოლო საბაზისო ცოდნას აღნიშნავს 5% (68);
- ინგლისურის კარგად ცოდნას აფიქსირებს 13% (176), საშუალოს - 35% (473), საბაზისოს - 11% (149).
- სხვა რომელიმე უცხო ენას ფლობს გამოკითხულთა 3% (41).
- 9% (122) მიიჩნევს, რომ სამსახურში მიღებისას შეექმნა პრობლემა უცხო ენის არცოდნის ან სათანადოდ არცოდნის გამო.
- გამოკითხულთა 37.5% (506) თვლის, რომ კარიერული წინსვლისთვის საჭიროებს უცხო ენის შესწავლას.
- კერძო სექტორში დასაქმებულმა ქალებმა მეტად იციან ინგლისური ენა. საჯარო სექტორის წარმომადგენელთა მხოლოდ 26%-მა (151), ხოლო კერძო სექტორის 32%-მა (148) აღნიშნა, რომ იცის ინგლისური ენა ($P<0.05$) (გრაფიკი 2).
- რაც შეეხება რუსული ენის ცოდნას, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება საჯარო და კერძო სექტორებს შორის არ აღინიშნა (საჯარო სექტორში რუსული იცის 45%-მა (261), ხოლო კერძო სექტორში - 42%-მა (194) ($P=0.32$) (გრაფიკი 2);


გრაფიკი 2. ენის ცოდნა დასაქმების სექტორის მიხედვით



დასაქმება

- საკვლევი პირების 23% (310) ამჟამად არ მუშაობს, ხოლო 16%-ს (216) არასდროს უმუშავია.
- დაუსაქმებელთა შორის 2.4% (8) არ აქვს მუშაობის სურვილი, 19.5% (60) არ მუშაობს, რადგან დაკავებულია შვილების აღზრდით, 7.3% (23) სწავლობს, 61% (189) ვერ შოულობს სამსახურს, 9.8%-მა (30) დაასახელა სხვა რომელიმე მიზეზი (გრაფიკი 3);

გრაფიკი 3. უმუშევრობის მიზეზები




- ქალთა მხოლოდ 51% (689) მუშაობს თავისი პროფესიით. თბილისში მცხოვრებთა 49% (205), ხოლო რეგიონში მცხოვრებთა 52% (484) მუშაობს თავისი სპეციალობით ($P=0.265$).
- საჯარო სამსახურში დასაქმებულთა 61.9% (358) მუშაობს თავისი პროფესიით, ხოლო კერძო სტრუქტურებში - 45.7% (211) ($P<0.001$).
- რაც უფრო ადრეულ ასაკშია დაქორწინებული ქალი, მით უფრო ნაკლები აქვს ალბათობა, რომ მუშაობდეს თავისი პროფესიით. 21 წლამდე დაქორწინებულთა 44% (257), ხოლო 21 წლის ზემოთ დაქორწინებულთა 57% (437) მუშაობს თავისი პროფესიით ($P<0.05$).

კარიერულ წინსვლაზე მოქმედი ფაქტორები


- კითხვაზე - ყველაზე მეტად რა ფაქტორები უშლის ხელს თქვენს კარიერულ წინსვლას - ქალთა 22% (229) აზრით - სქესი, 24% (250) ბარიერად ასახელებს ასაკს, 13.9% (145) - ოჯახს, 7.9% (81) - შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონას, 2% (21) - სხვა ფაქტორებს, ხოლო 30.2% (314)- ხელშემშლელი ფაქტორები არ აქვს.
- გამოკითხულ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ განუცდია ვერბალური, ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, საჯარო სამსახურებში დასაქმებულ საკვლევ პირთა 8.4% (49) აღნიშნავს ძალადობის ფაქტებს, ხოლო კერძო სტრუქტურებში ასეთი გამოცდილება აქვს 21% (97) ($P<0.001$).
- ოჯახსა და სამსახურს შორის ბალანსის შენარჩუნებაში ხელშეწყობას გრძნობს საჯარო სამსახურებში დასაქმებულთა 78% (452), ხოლო კერძო დაწესებულებებში - 53% (244) ($P<0.0001$).
- გამოკითხულთა მხოლოდ 53% აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში არის მისი შესაძლებლობების გამოვლენისთვის შესაფერისი გარემო.
- გამოკითხულ ქალთა 47.7% (496) აღნიშნავს, რომ სამსახურში შექმნილი აქვს ბავშვის მოვლისთვის შესაბამისი გარემო. ამ მხრივ ქალებს საჯარო სექტორში უფრო მეტი ხელშეწყობა აქვთ, რადგან 53% (307) აღნიშნავს, რომ ბავშვის მოვლისთვის შესაფერისი პირობები აქვს შექმნილი. კერძო სექტორში კი ამას 39.3% (181) ახერხებს ($P<0.05$).
- კითხვაზე, როგორია მეუღლის დამოკიდებულება იმ ფაქტისადმი, რომ ქალი მუშაობს, გამოკითხულთა 19% ამბობს (198), რომ მეუღლეს არ მოსწონს, თუმცა ეგუება ამ გარემოებას ფინანსური ინტერესის გამო.
- გამოკითხულთა 37% (419) ამბობს, რომ ჰქონია კამათი მეუღლესთან სამსახურის გამო.
- საკვლევ პირთა 19.8%-ის (181) მეუღლე არ მუშაობს.
- გამოკითხულ ქალთა 19.7% (205) მუშაობს მხოლოდ ანაზღაურების გამო, 22.7% (236) – მხოლოდ იმიტომ, რომ მოსწონს თავისი საქმე, 57.6% (599) მუშაობის მიზეზად ორივე ფაქტორს ასახელებს.
- გამოკითხული ქალების 77.8% (1050) თვლის, რომ ქალის და მამაკაცის გონებრივი შესაძლებლობები თანაბარია, 7.9% (107) აზრით ქალის აღემატება მამაკაცისას და 14.3% (193) თვლის, რომ პირიქით, მამაკაცის გონებრივი შესაძლებლობები ქალისას აღემატება (გრაფიკი 4);

გრაფიკი 4. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქალისა და მამაკაცის გონებრივი შესაძლებლობები თანაბარია



- რესპოდენტთა მეტი ნაწილი ანდობს მამაკაცებს გადაწყვეტილების მიღებას სამსახურში, ვიდრე ოჯახში. ოჯახში გადაწყვეტილების მიმღებად 12%-ში (162) გვევლინებიან ქალები, ხოლო 11%-ში (149) მამაკაცები. რაც შეეხება სამსახურს, ქალთა 16%-ის (216) აზრით გადაწყვეტილებას მამაკაცები უნდა იღებდნენ.
- საჯარო სექტორში დასაქმებულთა მხოლოდ 26.7% (154) გრძნობს თავს დამოუკიდებლად სამსახურში გადაწყვეტილებების მიღებისას, ხოლო კერძო სექტორში - 31.8% (147).
- ქალთა 32% (432) აზრით, მათი ცხოვრება უკეთ წარიმართებოდა, მამაკაცებად რომ დაბადებულიყვნენ.
- ქალთა 63% (655) თვლის, რომ მათ სამსახურებრივ წინსვლას დაეხმარება რაიმე სახის საგანმანათლებლო ინტერვენცია, მათ შორის:
 - თვითრწმენის გამყარება - 35.1% (356)
 - უცხო ენის შესწავლა - 37.3% (388)
 - კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება - 31.1% (323)
 - კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესება - 28.9% (301) (გრაფიკი 5);

გრაფიკი 5. სასურველი საგანმანათლებლო ღონისძიებები



- საჯარო სამსახურში დასაქმებულთა 77.5% (449), ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულთა 67.2% (310) აღნიშნავს საგანმანათლებლო ინტერვენციის საჭიროებას ($P < 0.05$).

ცხრილი: ქალთა კარიერულ წინსვლაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები დასაქმების სექტორის მიხედვით

მახასიათებელი	საჯარო სექტორი N (%)	კერძო სექტორი N (%)	P value
ასაკი			
<=35	168 (29%)	240 (52%)	.0001
>35	411 (71%)	221 (48%)	
უცხო ენის ცოდნა			
ინგლისური	151 (26%)	148 (32%)	.05
რუსული	261 (45%)	194 (42%)	.32
მუშაობს პროფესიით			
კი	358 (61.9%)	211 (45.7%)	.001
არა	221 (38.1%)	250 (54.3%)	
ძალადობა			
კი	49 (8.4%)	97 (21%)	.001
არა	530 (91.6%)	364 (79%)	
ოჯახსა და სამსახურს შორის ბალანსის შენარჩუნება			
კი	452 (78%)	244 (53%)	.0001
არა	127 (22%)	217 (47%)	
ბავშვის მოვლისათვის შესაფერისი გარემო			
კი	307 (53%)	181 (39.3%)	.05
არა	272 (47%)	280 (60.7%)	
გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი			
კი	154 (26.7%)	147 (31.8%)	.156
არა	425 (73.3%)	314 (68.2%)	
სჭირდება რაიმე ტიპის საგანმანათლებლო ინტერვენცია			
კი	449 (77.5%)	310 (67.2%)	.05
არა	130 (22.5%)	151 (32.8%)	